კვირა. 25 დეკემბერი 1927 წ. № 132 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

## უდღეური შობა



# სავალდებულო დადგენილება

როცა საათმა
შუადღე დარეკა,—
უცბად გაისმა
ზარის წკრიალი.
შეწყდა დარბაზში
ელიაქოთი,
წალმა - უკოლმა
რბენა, ტრიალი.
ყველამ მონახა
თავის ალაგი...
და ტარტაროზი
ასე აცხადებს:
— კრებას ვაცხადებ,
ძმებო გახსნილათ
და თავმჯდომარის,
გთხოვთ კანდიდატებს—
ერთხმათ გაისმა:
— თქვენ გირჩევთ, თქვენა!—
(და ამას მოჰყვა
ტაში მქუხარე)...
და ტარტაროზი
თავის ალაგას
დაბრძანდა ეხლა
ვით თავმჯდომარე

კრებაზე იყვენ:
ფარსადან, ვინმე,
ალლარ - ალლარხან,
ზმუკი, ისელი.
დიტო, ენუქი
ხეგიურ - ბენ-შეიხ,
ხინტო, გოგია
და გორისელი.
პროვინციიდან:
ჯაგნელი ბზიკი
წაველა ჩგმუნტი.
დონ-გან, „ვიზონტი“
ქუთაისიდან
კი — კოსტიათი
და ბორჯომიდან
ბარმენ თაბილი.

(ბაპიროსს სწევენ
დელეგატები
და მთელ დარბაზში
სდგას მისი ბოლი).
ზის მხატვართ რიგში
და სურათები
უჭირავთ ხელში
და ოლოიში...
ჩვენი მხატვრები:
დონი, რევაზი,
ასკარ შმერლინგი
და მარიაში.

დარბაზის კარებს
ფხიზლათ დარაჯობს
სკამზე მძინარე
ჩვენი ევგენი.
ვაფრთხილებთ: თუ კი
დაგეცეს მტერი,—
ჩვენი ევგენი,
მედგრათ ებრძვენი! —
ამბობს: — მა რას ვიზამ?!
ასე ვებრძვნები,
რომ თუ შევსძელი
მისი წაქცევა, —
მერე მე მკითხეთ
პატივისცემა —
ვერხემლის ძვალი
მთლათ ჩაემტვრევა.

ტარტაროზის სიტყვა

ამხანაგებო
და მეგობრებო,
კარზე მოგვადგა
ახალი წელი.
წელმა, რომელიც
ლება და მიდის,
სწყვიტა შრომით
ან ჩვენი წელი, —
მაგრამ სიმართლე
უნდა ითქვას,
რომ იყო იგი
ნაყოფიერი,
რითაც შევსძელით
რომ ცხოვრებისთვის
მიგვეცა სულ სხვა
სახე, იერი.
ბევრი გაკეთდა
და კიდევ მეტი
უნდა გაკეთდეს
წ — მომავალში.
(და იმედიც გვაქვს
რომ თქვენთაგანი
რთიც კი არა
ერჩებით ვალში).

ამგვარათ, ასე,
ამხანაგებო,
დის, გვშორდება
ვენ ოცდაშვიდი.
(ფეხზე ადგომით
ას პატივი ვსცეთ,
ადავუხადოთ
ჰას პანაშვიდი).
მომავალ წლიდან
არის ჟურნალის
გამოცემისა
მეხუთე წელი,
და ნუ თუ ჩვენში
ვინმე იქნება,
რომ ის არ იყოს
ჩვენი მკითხველი?!?
არა და არა!
შეუძლებელი
არის ეს საქმე —
ასეთი ცუდი...
ყველა იქნება
ელის-მომწერი
თუ კაცი არის
და ხურავს ქუდი.

მეხუთე წელი
„ტარტაროზი“-სა,
და მეთერთმეტე —
კი ოქტომბერის...
(რა კაცი არის,
რომელს არ ესმის —
ჩვენი ცხოვრება
თუ როგორ მღერის?!)

ვაი, სირცხვილო,
თუ ვინმე არის,
რომ ის არ იყოს
ჩვენი მკითხველი!
იმას დასცინის,
მასხრათ აიგდებს,
კაცათ არ ჩათვლის
კაცი ყოველი...
და რომ ასეთი
სირცხვილისაგან
იყოთ სუყველა
თქვენ დაზღვეული,
დღეს, ხვალ, ზეგ მაზეგ
აუცილებლათ
იყავით ყველა
ჩვენი წვეული.
გამოიწერეთ
ჩვენი გაზეთი
თავის ჟურნალით:
„ტარტაროზი“-თა
(თუ არა გინდათ
რომ ტარტაროზმა
უყველას გცემოს
მწვავე როზგითა)..
რათა ჩვენს შორის
თავიდან იქნეს
აცილებული
გაუგებრობა
და ძველებურათ
(და კიდევ მეტათ)
გაღრმავდეს ჩვენში
კვლავ მეგობრობა —
ამიტომ კრება,
ადაცა ჰქონდა
ვგილი წევრთა
ხრთა მხილებას, —
რთხმათა ადგენს
უყველასათვის
სავალდებულო
დადგენილებას:
ყველ'ს ...ახს
უნდა ჰქონდეს
„ტარტაროზი“
ახალ წელსა.
ამიტომაც
უკვე დროა,
რომ აწერდეთ
გაზეთს ხელსა!
ჩამოვივლით
ყველა ოჯახს
და სადაც არ
აღმოჩნდება, —
ჩვენ არ ვაგებთ
პასუხს მათ წინ,
თუ რამ ცუდი
იქ მოხდება.

ტარტაროზის წყევლა

ვინც ჩვენს „ტარტაროზს“
არ გამოიწერს, —
საქმე წაუხდეს
მომავალ წელში.
ბედმა უმტყუნოს,
ვალში ჩავარდეს,
ვერ გაიმართოს
ვერადროს წელში...
აბა სადა ხარ,
ოთხო აბაზო,
ამ საქმისათვის
გადადებულო?!
სავალდებულო
დადგენილება
ყველასთვის არის
სავალდებულო.

ტარტაროზი



**მღვდელი:**—ღმერთო მიშველე ანტი-რელიგიურ საწინააღმდეგო კამპანიის ჩატარებაში.

**ანტი-რელიგიურ კამპანიის „ჩამტარებელი“:**—ღმერთო მიშველე ანტი-რელიგიურ კამპანიის ჩატარებაში!

**დიაკვანი:**— ღმერთო, ყოველგვარი „კამპანია“ —ქეიფში დამახწარი და კარგი დრო გამატარებიე.

# გაგითურება

(ტრალი-კომედია ერთ სანახაობად)

(სცენა წარმოადგენს სამოთხეში ეკლესიის ყაიდაზე მოწყობილ დარბაზს, ერთ კუთხეში ამაღლებულ ადგილზე ძველი ხალიჩა და მუთაქები, მეორე კუთხეში დიდი სარკე, კედლებზე ჩამოხუნებული ფრესკები. ჩამქრალ ბუხართან მამა-ღმრთი ბაიათს ღიღინებს:)

**მამა-ღმერთი:** დავბე-ე-ე-რდი, დავ-ჩა-ჩა-ა-ნაკ-დი-ი,
ხავ-საა-ად-დამე-დო, ჭალა-ა-ა-ა-რა-ა-ა-ა,
კომსო-მო-ოლს მოვ-ძუ-უ-ლე ბი ვა-ა-ა-რ,
მრევლსა-ა-ა-ც უნდი-ვა-ა-არ ალა-რა-ა-ა-ა!..

(შემოდის მარიამი, ცალ ხელში უთო უჭირავს, მეორეში ანთებული ქრაქი, უახლოვდება ბუხარს).

მარიამი: შტო ზა ბეზობრაზიე!.. ნამდვილი ნაცარქექია გახდი შე უბედურო, აღარც ოჯახზე ფიქრობ, აღარც ხალხის ცხონებაზე, იშკილებიდან დავარდი და ბუხართანა წუწუნობ, გაიწი პაყალუსტა იქით, მაგ ღადარში იქნება ცეცხლი კიდევ იყოს, უთოს გახურება მინდა, ჩემი ძველი კრეპდეშინის კაბა უნდა დავაუთოვო, ამ საღამოს ალბად ვინმე შემოეხეტება, ჩემის ბიჭის დაბადების დღეა... (უცბად შეუტევს) პრიამო ნა ნერვი დეისტვუეშ ჩესტნოე სლოვო, რას ჩამჯდარხარ კრუხივით? ადექი, ხელი გაანძრიე ან ბაზარში გადი, ზაკუსკა მოიტანე, ღვდელკოოპში შეიარე, ნისიათ მოგცემენ დღესასწაული დღეა, მშივრები ხომ არ ვისხდებით?

**მამა-ღმერთი:** დედაკაცო, რამ გადაგრია თუ იცი? ისე პასტაპასტას ლაპარაკობ, თითქოს გაცნობილი არ იყო ჩვენი ყოფა-ცხოვრების კონიუნქტურას, რით ვერ გაიგე, რომ ჩვენი ლიკვიდაცია მოხდა, და აღარავითარი პერსპექტივები აღა არის! მაგ შერჩვენებულმა კომუნისტებმა გადარიეს ხალხი, ოჯულზე და ხატზე ხელი აიღებინეს, ეკლესიებში კლუბები გამართეს და მრევლს კომსომოლი კალიასავით შეუჩინეს, ხალხი განათლეს თვალი აუხილეს და ჩვენი სიცრუე შარაზე გაიტანეს ყველას დასანახად!.. (წამოდგება, ბოლოთასა სცემს და თავისთვის ბუტბუტებს):

იმ წყეულ ფარსადანისა არ იყოს, ჰაი გიდი აბასთუმან, რა მიყვეს მაგ ბემურაზებმა, რა დღეში ჩამაგდეს!.. სიბერემდე სიქაჩლე გეწეროსო,სწორედ ჩემზე ყოფილა ნათქვამი: მე, ყოვლის შემძლე, მპყრობელი ცათა და ქვეყანათა,

რომელსაც მევედრებოდენ —მოგვეც ჩვენ პური ჩვენი არსებისაო“ დღეს ლუკმა პურის მონატრული უნდა ვიყო? ღვდელკოოპიდან ნისიათ მომქონდეს ფეტის მჭადი და იმის მისაღებად ოჩერედში დგომითაც გვერდები მქონდეს გაცვეთილი? მერე როგორ გაყვინიზებული არიან ეს ნოქარი—ანგელოზები, სიტყვას ვერ შებედავ, ბუზღუნით და გინებით აგიკლებენ, შენს ნებაზე არაფერს მოგცემენ, სულ იძულებითი ასორტიმენტია: პურსა სთხოვ—პუდრს გაჩეჩებენ, ჩითს მოინდომებ, დუხს მოგცემენ, შაქრის ადგილას დანა-ჩანგალს შემოგაძლევენ. დედიშენიშვილი ხარ და უარს იტყვი, მაშინვე პანღურით გაგისტუმრებენ! მერე წადი და ირიკავე.

**მარიამ:** ჩტო ტი ვარჩიშ? ხმა ამოიღე, რა დუხები, რა პუდრებია, სად ნახე დუხები, კონტრაბანდა იცი სადმე თუ?

**მამა-ღმერთი:** კონტრაბანდა კი არა და ბაბუაშენის ქოშები არ გინდა? მე ვამბობ, რომ ღვდელკოოპში კაცს თავის ნებაზე არაფერს აძლევენ!

**მარიამი:** თუ ასეა, მაშ ანგელოზკოოპში წადი, იქ ხომ შენი ნამსახური ხალხია, ხათრს გაგიწევენ!

**მამა-ღმერთი:** ვერ მოგართვი დანივრული ბადრიჯანი! ანგელოზკოოპმა შენი ჭირი წაიღო, გაკოტრდა, დაიკეტა, გუშინ ტორგით გაუყიდეს ყველაფერი.

**მარიამი:** ნეუჟელი!.. რათა, რა დაემართათ?

**მამა-ღმერთი:** რათა და იმათ, რომ სპეცებმა ძირი გამოუთხარეს; მიქელ-გაბრიელმა, აქაო და გამგე ვარო, დაიწყო დარდიმანდობა, ცოლს გაეყარა და ხუთი ლამაზი ანგელოზი შტატს გარეშე მიიღო, ზოგი მაშინისტკათ დაიყენა, ზოგი რეგისტრატორშათ და ზოგიც პირად მდივნათ, დაიწყო აქეთ-იქით კამანდიროვკებში სირბილი, მისმა ღლიურებმა ზედნადები ხარჯები გაზარდა, გლავბუხმა ივანე ნათლისმცემელმა რაღაც კომბინაციები გააკეთა და კერძო ანგელოზებს მისცა საქონელი, მოლარე პეტრე მოციქულმა კი ფულები მიითვისა და გაიქცა. ვექსილები კი პროტესტში წავიდა და ბაც! ანგელოზკოოპი პატრონს ჩაბარდა...

**მარიამი:** ჟალ, მაგისთანა საინტერესო ამბები მომხდარა და მე კი არ ვიცოდი. კსტატი, ეხლა მაგონდება, ამასწინათ, ედემში, პეტრე- მოციქულმა მაროჟნზე დამპატიჟა და ფულებს ბზესავით ამბნევდა, რას ვიფიქრებდი თუ რასტრატჩიკთან მქონდა საქმე, თორემ, არ დავზოგავდი!.. ჩემ რძალ მარია მაგდალინელზე ბევრი ინტიმური რამეები, მიამბო, მაგრამ ამაზე შემდეგ... ეხლა კი, წადი დუშკა, და რამე მოახერხე, ამ საღამოს პატარა ვეჩერინკა მოვაწყოთ, ცოტა პრავიზია იშოვე და კონიაკიც მოიტანე, ნუ, მარშ!.. (მამა-ღმერთი უხალისოდ გადის, მარიამი კლაკვნით მიუახლოვდება სარკესდა თავის თავს ეკეკლუცება) წლებმა ბევრი ვერაფერი დამაკლეს, ჩემი სილამაზე ისევ ბევრს აგიჟებს, მიწაზე თურმე პოეტები ლექსებსაც მიწერენ; მას შემდეგ კი, რაც მე პრიჩოსკა გამოვიცვალე, უფრო დამშვენდა, ყველანი მეუბნებიან, რომ ლოკონების ზავივკები საშინლად მიხდება (შეკრეჭილ თმებს იხუჭუჭებს) ერთის სიტყვით, ჯერ კიდევ მომხიბლავი ვარ, —მე რომ ქვეყნად წასვლა შემეძლოს, კინოარტისტკად უეჭველად მიმიღედენ.— ნატა ვაჩნაძის შემდეგ მეორე ადგილს მაინც დავიჭერდი, თუმცა ნატა ჩემზე ლამაზი და ახალგაზრდაა, მაგრამ მე სამაგიეროდ მეტი გამოცდილება მაქვს. ივ დაბავოკ, გოვორიატ ჩტო, მარჯანოვ ტვორიტ ჩუდესა: იმისი დადგმული სურათები თურმე ისე მოსწონს გოსკინპრომს, რომ გარეთ არც კი უშვებს, დგას და სულ თვითონ უყურებს!.. იმის რეჟისორობა მეც სახელს მომიხვეჭდა... ან ახმეტელი გინჯბას მასწავლიდა და პრემიერშად გამხდიდა!.. ერთი ამოვიდეს ჩემი ბიჭი, იესო, ის ქვეყანაზეა წასული და დღეს თავის დაბადების დღისთვის მოვა, ყველაფერს გამოვკითხავ. (შემოდის მამა-ღმერთი, დაღვრემილია, ყავარჯენს კუთხეში მიაყუდებს, ცარიელ კალათს ისვრის და ხმამაღლა შეჰყვირებს).

**მამა-ღმერთი:** ჰოი, მაგათი პატრონის დედაცა, ეგენიც აღარ მენდობიან, ჩემი გამოჩეკილი, ჩემი ტაბლებით გამოზრდილი მღვდლები, ჩემი ნასუფრალით შენახული ანგელოზებიც აღარ მენდობიან, ხელცარიელი გამომისტუმრეს, დამცინეს, გამაბითურეს: —შენი ლილახანა გახუნდაო, ბოლშევიკებმა შტატების შემოკლებაში მოგაყოლესო, ჩვენც დაღუპულები ვიყავით —ვაჭრობას რომ არ ეშველაო, შემოსავალი არ გვაქვაეია და ნისია რით უნდა გავისტუმროო? გლავბუხმა ანგელოზმა კი მიმითითა გამოკიდულ პლაკატზე, სადაც ეწერა: „კრედიტ პორტიტ ოტნოშენიაო“. —მერე პანღური ამომისვა. მჭადიც კი ვერსად ვიშოვე, მთელი დღის უსადილო ვარ, სტუმრებს ვინ ჩივის, ამაღამ მშივრები უნდა დავწვეთ.

ვაი ჩემს მოსწრებას, შობა დღესაც კი საჭმელი არა მქონდეს, მე რომელიც „ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ გატყლარჭული ვიყავ და მომდიოდა ტაბლასაკურთხები? სადღაა ის დრო? (პათოსით მღერის) „კუდა-ა-ა კუდააა, კუდა ვი უდალილიიიის“!

შემოდიან სტუმრები, ხუცები, კოჭლი და ქაჩალი ანგელოზები, ბებერი გენერლები, და სხვები), რიგში დგებიან და ულოცავენ ქრისტეს დაბადების დღეს:

**ბლაღოჩინი ონოფრე:** მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა, გილოცავთ შობასა ძისა შენისა, ქრისტეს რამე თუ განგვაძლებ ჩვენ...

**მამა-ღმერთი:** (სტუმრებს) აამიიინ! (თავისთვის) მამა გიცხონდა დიახ, გაგაძლებ... ყვავს რა აქვს კაჭკაჭს რა მისცეს?

**მემწვანილე:** ღმერთოჯან, ეს კუკლა სტუმრები შენთავის ვიზიტი იმიტომ გვიქნია, რომა სიყმი შვილის მენენიკი პაზდრავვლენია გიყოთ, ჰამაც ერთი ლაზათიანი პურ-მარილი ვჭამოთ! რა უყოთ, მართალია, შენი ლილახანა გახუნდა, ჰამა, გულს ნუ გაიტეხ, ჩვენც შენს ჟარონიკში არ ვიხრაკებით სამწვადე სუკებივითა? მახლაზ, ალბათ ყისმათი იყო ზნაჩიტ რომა ამისთანა ფათერაკი შუბლზე გეწერა მააშ! (ყველანი ულოცავენ. ბოლოს მამა-ღმერთი მიუბრუნდება ყველას და ქარაგმულად ეუბნება).

**მამა-ღმერთი:** რა ვქნათ, თუმცა კაი დასაპატიჟებელი ბიჭები ხართ, მაგრამა ხომ იცით, ჩემმა მეუღლემ რეჟიმ ეკონომია გამოაცხადა! ამიტომ ნურას უკაცრავად! (სტუმრებში დაიწყება ჩურჩული და საყვედური. რომლის დროსაც ისმის ლუარსაბ თათქარიძის ბოხი ხმა: „ვეჟო, მამის სული ნუ წამიწყდება, ამისთანა კრიჟანგობას ჩემი ძმა დავითიც კი არ გამაჩენდა, მე მეგონა რომ აქ ჰაინც გამოვძღებოდი კარგი ბოზბაშითა და აქაც ბითური გამოგვიდა? ვაი შენს ლუარსაბსა!.. (ამ დროს ორი კოკავშირელის ჩრდილს შემოაქვს გატეხილი ვარცლი, სდგამენ მას სტუმრების წინ და სწრაფად გადიან. მამა-ღმერთი სასწრაფოდ მივარდება, გადახდის და ისევ უკან დაიწევს. ვარცლიდან ამოდის სამი თითის კომბინაცია... შორიდან მოისმის დარდიმანდული სიმღერა: „ისევ და იიისეეევ ღვინიიითააა“. შემოდის იესო პირ-გაპარსული, კოვერკოტის კოსტიუმში, და გეტრებში გამოწყობილი).

**იესო:** —ააა, ბონჟურ დრუზია მაი, როგორა ხართ, როგორ გიკითხოთ? ჩემს იმენიკზე მოხველით? (გაკვირვებული უყურებს და შემდეგ კომბალას კილოზე) თქვე ჩემახალებო, რა ბაიყუშებივითა დგეხართ, რა ჩემი ფეხები გაწუხებთ გატეხილ ვარცლის წინ რო დამდგარხართ იმიტო? თქვენი პატრონის დედაც და მაგისიც, (შემდეგ ხმას იცვლის და კინტოების ინტერმედიის კილოზე):

**ვაჰხ, წინათ კი ჩემი შობა სხვა იყო.**
**ის ილბალი, ის დროება გაიყო,**
**გაბითურდა რელიგია ძმობილო,**
**უდივლიაუს, ჩტო ტიპერ იესტ, ჩტო ბილო..**
(ყველანი ერთად იმეორებენ მისამღერს:)
უდივლაიუს ჩტო ტიპერ იესტ, ჩტო ბილო!...

მამა-ღმერთი ვარცლზე საცეკვაოს უკრავს. ონოფრე და მარიამი ფოქსტროტს ცეკვავენ, მეწვანილე ბალდადურს უვლის, ქრისტე კომბალას „ლეკურს“-ა ტლინკავს. ფარდა ნელა ეშვება).

თარსი.

# დაუჯერეთ?



„ტარტაროზი“-ს დამტარებელი:—„ვისაც ხიცილი გინდა, „ტარტაროზი“ იყიდე... სახვალიო „ტარტაროზი“.

# „მამაო ჩვენო"

**ანუ მღვდლების მიერ გამოტანილი რეზოლიუცია**

მამაო ჩვენო, რომელი ხარ არხეინად ცათა შინა და არც კი იხედები ქვეყანასა ზედა, სადაც მონანი შენნი ტიტლიკანა არიან ადამის წლის ანაფორისა ქვეშ.

რას გვიკეთებს სახელი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა!

ასე თუ არს ნება შენი, რამე თუ ვეწვალოთ, ვითარცა იობი, მიიღეთ საყვედური ერთი გობი და არც გვამცნო სუფევა შენი.

პური ჩვენი არსობისა რად მოგვისპე? გვენატრება შავი პური, სადღა არის ხაჭაპური, ჩამოვხმით შენნი მონანი, დავდივართ ვითარცა კეთრონი; შენ კი ამ დროს გვიქენი განი, ტყვილა ჩაგვიხლჩა ყვირილით ხმანი. დავკარგეთ მრევლი დიდ რიცხოვანი და კალათები საკურთხიანი ამიერიდან და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ნუ თუ არა ხედავ განსაცდელსა ჩვენსა? ეს არ შეგშვენის მამასა ჩვენსა, რად არ გაანძრევ შენსა ხელსა, როცა მასხარად იგდებენ ყოველსა მღვდელსა, (დიდი ხანია ველარ ვხედავთ თვალით ღვეძელსა). პურსაც არვინ გვიტეხს შობისა თა[illegible]ა წელსა.

რას ყალთაბანდობ, არ უხდება ეს შენს თეთრ წვერსა, რომ მოუტოვე ჩვენი თავი ამდენსა მტერსა. აღარ გვზოგავენ არცა მღვდელსა და აღარც ბერსა, ისეთს გვეტყვიან ხოლმე სიტყვას უხამსს, უშვერსა. რომ ზოგიერთი ველარ უძლებს დაცინვას ბევრსა, იღებს მაკრატელსა და ძირშივე იჭრის აბრეშუმისა წვერსა.

ყური დაუგდე ვედრებასა ჩვენსა:

დაწერილია ესე კრებისაგან, რომელიცა შესდგა მღვდლებისაგან. კიდევ მოველით შველას განგებისაგან, ხელი აიღეთ თავის აგდებისაგან შეტად გავმწარდი სიმშილისაგან გაილე ჩვენთვის რამ ფონდისაგან და, რაც მთავარია, გვიხსენ ბოლშევიკებისაგან

[illegible]—ბენ—შეიხ.

# ტერტერების სეზონიც გავიდ

დღეს მოლნინის ეკლესიაში ვიყავი. არ გეგონოთ სალოცავათ. დიდი ხანია, რაც ღმერთმა ჩემგნით ხელი აიღო და მეც იმისაგან.

საწყალი ტერ-სააკა! ძველ დროს რა დორანში იყო!

ტერტერჯან, კომუნისტების ბრალია ყველაფერი. ხალხი გადაარჯულეს და შენ ჯიბეშიც რწყილები მაზურკას ტანცაობენ. გუშინ შენ ობჩესტვაში პირველი კაცი იყავი; უშენოთ არც იბადებოდა, არც ინათლებოდა, არც ქორწილდებოდა და არც ვინმე კვდებოდა... ეხლა კი ყველაფერი ათშაურიანი მარკით კეთდება ალმასკომის ზაქსში. შენ ტერვოლორმიას სეზონი გაუვიდა, ტერ-სააკჯან!

მაგრამ გული არ უნდა გაიფუჭო, ტერტერჯან. მარტო შენ ხომ არა ხარ მაგ შავ დღეში. შენზე უკეთეს პირობებში სხვა ტერტერები იყვენ. **ტერ-ნიკოლას** თვეში ას თუმანზე მეტი შემოსავალი ჰქონდა. თვეში ორმოც თუმნამდე მარტო მაჭანკლობაში აკეთებდა. **ტერ-კოსტოა** ისე ყვლეფავდა საწყალ ხალხს, რომ თვეში ხუთას-ექვსას მანეთს ოროთაჭალაში ხარჯავდა. საწყალს ძალიან უყვარდა დახლზე არღნით ქეიფი. არც **ტერ-აბელა** იყო ამათზე ნაკლები. კვირაში ოთხმოცი ბითურიც რომ გამოსვლოდა კარპუშას ტრახტინში, მაინც იმას ჯიბე არ ეცლებოდა. შარმანკებში ოხრათ აღებული თუმნიანები ციგანსკი რომანსებში ტიალათ იხარჯებოდა გორგიჯანოვის და მაჩკალოვის ბაღში.

მემრე რა სუყველაფერი ჩუქურთმებში ჰქონდათ ამოღებული. იმათ ლოცვას და კურთხევას ისეთი ტაქსა ჰქონდა დადებული, როგორც ღორის ხორცს ხატისოვის დროს. სუქანი, კვდარი დინჯათ იმარხებოდა. წირვაზე ლოცვა ნოტებით ტარდებოდა. მდიდარს ცხრა სახარებას უკითხავდენ და კარგ ფასსაც იღებდენ. საწყალი ცხედრის ტაქსა კი ნაკლები იყო და აი, ამიტომ ლოცვას მოკლეთ სჭრიდენ. კვდარს ისე მიარბენინებდენ ხოჯავანქის სასაფლაოზე, როგორც ქორი წიწილას. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მდიდარს სვერხუროჩნის ართმევდენ, ქელეხსაც კარგს სჭამდენ და კოლოპურტებიც ფასიანი რჩებოდათ.

ხანდისხან საწყალი ხალხი ჩვენ ტერტერებს შტუკებსაც უხდენდენ. მიღებული იყო ახსარების თქმა. კაცი რომ კვდებოდა, ის სულთან ერთად თავის ბოლო საიდუმლოს ტერტერას აბარებდა. ამაშიც ტერტერას პროცენტები ჰქონდა. გლახაშვილი იაგორა რომ კვდებოდა, ტერტერას მიანდო თავის ქონების განაწილება. ტერ-პოლოსა დარწმუნებული იყო, რომ იაგორას ორმოში აქვს ფული ჩაფლილი, ამაში იაგორამ ის დაარწმუნა და ადგილზეც მიუთითა. ჯერ იაგორას გვამი კიდევ თბილი იყო, როცა რომ ტერტერამ ბარი ხელში აიღო. მთელი ღამე თხარა, თხარა ტერ-პოლოსმ იაგორას ბაღჩა, მაგრამ დამალოლი ფულის მაგიერ მითითებულ ადგილას სამსე ორმო აღმოაჩინა.. რასაკვირველია ორმო ფულით კი არა სხვა რამით იყო სავსე. იაგორა საერთოდ ძალიან ხუმარა კაცი იყო და ამასთან ერთად სულიერი მამებიც ეჯავრებოდა. ტერტერებმა ამის შემდეგ უარი განაცხადეს იაგორას დაკრძალვაზე და ის ულვდელოთ დაიმარხა.

მეორე იშკილიც სიღნაღელებმა ცხონებულ ტერ-გრიგოლას გაუკეთეს. ტერტერას მუშტარი სიღნაღშიც ყავნდა და თუქურმიშაშიც. მოხუცი ტერტერა კვირაში ერთხელ სწირავდა თუქურმიშაში, სადაც პატარა სომხის ეკლესია იყო. კვირაში ორჯერ მას უხდებოდა ოცდა ათი ვერსის გაკეთება პერეკლადნოითი. ტერტერა ამნაირ სიარულით თავ-ფეხიანათ დანჯღრეული იყო და სიღნაღლებმა დრაგუნის ცხენი უყიდეს. შაბათობით წმინდა -ნინოს შოსეზე მაზალო სურათს შეხვდებოდით. ჩვენი ტერ-გრიგოლა დრაგუნის ჯაგლაგ ცხენზე, ხურჯინ გადაკიდებული, თეთრი ნარმის ქოლგა გაშლილი, შარვლის ტოტები ეჩეჩილი და ანაფორა გადაშლილი, მიეშურებოდა თუქურმიშაში იქაური სომეხ ვაჭრების ცოდვიანი სულის ღმერთთან შესარიგებლად. ტერტერა კარგათ გრძნობდა თავის თავს —ცხენი დინჯი და გაწვთნილი იყო, სამ თვეში ტერტერა და მისი ცხენი ძალიან დამეგობრდენ და ერთმანეთის ენა კარგად შეისწავლეს.

ერთბაშათ საღამოს სიღნაღელების ხუმრობა სიმართლეს დაემზგავსა და აი როგორ: „ტერტერა თუქურმიშას უახლოვდებოდა. უცბათ ცხენმა ყურები დააცქვიტა. თუქურმიშიდან მოისმოდა მუსიკის ხმა. პოლკი თავის წლის თავს ზეიმობდა და ორკესტრიც ნიჟეგოროცკი პოლკის მარშს უკრავდა. ცხენმა უცბად მოუსვა და ჩვენი ტერტერა ცოცხალ-მკვდარი ჩამოაქანა პოლკის მინდორზე იმ დროს, როცა პოლკოვნიკი ნაცვლიშვილი პარადს იღებდა. პოლკი ათეულებათ დაყოფილი სწორი რიგებით მიაჭენებდა ცხენებს მინდორზე. ტერტერას ცხენი გაქანდა-გამოქანდა და შეიჭრა მეოთხე ესკადრონში და შიშით თავზარდაცემული ტერ-გრიგოლას ძალაუნებურათ პარადში მონაწილეობა მიაღებინა. დრაგუნებმა ტერტერა მეოთხე ესკადრონის კავალერისტათ ჩასწერეს, ტერტერას ცხენი კი, რომელიც თავის ახალგაზრდობის დროს ამ ესკადრონში ოთხი წელიწადი მსახურობდა, სიხარულისაგან სულ ჭიხვინით და სიხარულით ულოკავდა კისრებს თავის ძველ ამხანაგებს.

აი, როგორი ტერტერები გვყავდა ძველ დროს. ეხლა კი რა უთხრა ამ სავეცკი ვლასტსა, რომ ტერტერებს წირვა გამოუყვანეს. საწყლები, ზოგი შიმშილით კვდება, ზოგი კი თავს ირჩენს კომბინაციებით, მაჭანკლობით, ოთახების [illegible]ულიაციით. ტყვილათ კი არ არის ნათქვამ. რომ ჩვენი ცხოვრება [illegible]ის ვაგონივით ხან ადის ხან ჩამოდის.

სიღნაღელი.

## „მადლობა"




ღმერთი (კითხულობს „ტარტაროზს" და ბრაზობს):—ოი, თქვე ურწმუნოებო თქვენა!

ქრისტე:— რომ ყვირი, რა გაყვირებს?! პირიქით: მადლობის ღირსია—სხვებს არავის გახხოვართ! „ტარტაროზი" კი წელიწადში ორ-სამჯერ მაინც გვიხსენებს და ჩვენს პორტრეტებს ათავსებს.

# ანკეტა

— შენ წახვალ და მოიტან სხვადასხვა პირებისაგან ანკეტას, თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩვენს ჟურნალს!—მითხრა ტარტაროზმა... და მეც გზას გავუყევი.

მოსახვევში შემომხვდა

### სამგლოვიარო პროცესია

— დამნამსა, ხეირს ვერ ვიზამ!—ელდასავით მეცა გულზე, მაგრამ მიცვლებულის ჭირისუფალს მაინც ვკითხე:

— სიცოცხლეში კითხულობდა თუ არა თქვენი მიცვალებული „ტარტაროზს"?

— არა, არ კითხულობდა!

— ჰოო, აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული!

— რაო? ძაღლის თავიც ხარ და უარესიც! მიცვალებულს რომ შეურაცყოფას მიყენებ, ვინ ოხერი ხარ შენ?—და მოემზადა ჩემთვის საცემათ მიცვალებულის ძმა.

— დამშვიდდი, მეგობარო; მე იმიტომ გეკითხები,რომ აწი მაინც მოერიდოთ და გაუფრთხილდეთ თავს. ამ კაცს რომ სიცოცხლეში „ტარტაროზი" ეკითხა, ადვილი შესაძლებელია ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო...

— შენ ენას თავვის შაქარი! ძლივს-ღა მეღირსა მაგის სიკვდილი და...!—ჩაიჩურჩულა თავისთვის ახალგაზრდა ქალმა, რომელიც, ეტყობოდა, მიცვალებულის ცოლი იყო. ბოლო სიტყვები არ გამიგონია, რადგან ტირილი დაიწყო.

— რა ვიცოდით, რა ვიცოდით ეს, თორემ ყოველთვიურათ გამოვიწერდით „ტარტაროზს"!—სტიროდენ ჭირისუფლები.

—:—

პროსპექტზე რომ გამოვდიოდი, უცბათ შემომეჩეხა

**ბაბუ,**

რომელიც ბიუროკრატიზმისათვის სამსახურიდან მოეხსნათ და ეხლა რუსთველის პროსპექტს ზომავდა, თუ რამდენი ნაბიჯია „ზარია ვოსტოკას" ახალ შენობიდან ძველ შენობამდე.

— როგორ? თქვენ ასეთ დროს სამსახურში არა ხართ?

— დამითხოვეს ბიუროკრატიზმისათვის... არ ვიცოდი...

— კი მაგრამ, თუ თქვენ „ტარტაროზს" კითხულობდით, იქ ხშირად ნახავდით გამაფრთხილებელ და ჭკუის მასწავლებელ წერილებს...

— უბედურებაც ეს არის, რომ „ტარტაროზს“ არ ვკითხულობდი... არ ვკითხულობდი იმიტომ, რომ—ვიცოდი ბიუროკრატების წინააღმდეგ სწერდა... სულელი ჩემი თავი? მეკითხა რა მიჭირდა?! ეს უბედურება არ დამემართებოდა.... აი ხედავ!—და ხელი გაიშვირა ქუჩისკენ, სადაც მიდიოდა

მუშა,

რომელსაც ხელში „მუშა“ და „ტარტაროზი“ ეჭირა.

მე აღარ მიმიქცევია ყურადღება. გამოპანღურებულ გამგისათვის და დავეწიე მუშას.

— რატომ იწერთ და კითხულობთ „ტარტაროზს“?— შევეკითხე სალამის მიცემის შემდეგ.

მან ამხედ-დამხედა. მის სახეზე ირონიულმა სიცილმა გადაირბინა.

— ჰო, მითხარით, მიპასუხეთ!—

— შენ ზურგი ხომ არ გქავა? აბა, რა საკითხავია, რასაც შენ კითხულობ?! „ტარტაროზი“-ს სარგებლობის დასახელება არც ისე იოლი საქმეა!

— მაინც! მაინც!

— როცა „ტარტაროზს“ ვუკითხავ ცოლშვილს მათ ავიწყდებათ ყოველგვარი საყიდლები; უსაიმოვნება აღარ მოგვდის და ოჯახში ყველანი ტკბილათ ვცხოვრობთ; ამაზე მეტი სარგებლობა რაღა გინდათ?!

ამ ლაპარაკით ჩვენ სადგურში გავედით

მე პირდაპირ დარბაზში შევედი.

მესამე ზარიც მისცეს და წავიდა მატარებელი.

მე თან გავყევი.

ვაგონში მგზავრებს ყველას „ტარტაროზი“ ეჭირა ხელში.

— რად გინდათ, რომ ყველა „ტარტაროზს“ კითხულობთ?

— ეს რომ არ იყოს, ნერვები აგვეშლებოდა, მგზავრობის დროს. ვკითხულობთ „ტარტაროზს“ და სადგურები ისე შეუმჩნევლად გარბიან, რომ თვითონ ჩვენც გვიკვირს!

მატარებელმა სადგურს მიაყვირა.

— ჰა, ხედავთ: რამდენი სადგური გამოგვივლია? დროც დიდი გასულა, მაგრამ, ჩვენ არც კი შეგვიტყვია!—

მართლაც: ერთ პროვინციალურ სადგურში იდგა ჩვენი მატარებელი.

მე ჩამოვხტი და სოფლისკენ გზას გაუდექი.

ცოტა რომ გავიარე, ერთი მოხუცი ქალი და ახალგაზრდა ბიჭი შემომხვდა.

ეტყობოდა დედა და შვილი იყო.

ბიჭი სტიროდა: — უბედური ვარ,

უბედური!

— დამშვიდდი შვილო, გულს ნუ გაიტეხ... იანვრიდან ყოველთვიურად გამოიწერე „ტარტაროზი“ და თუ მაგაზე უკეთესი ცოლი არ შეირთო, მე შენი დედა არ ვიქნები!—ეალერსებოდა დედა.

გამიკვირდა იმათი ლაპარაკი და თავისთავს ვეკითხებოდი:

— სად „ტარტაროზი“?!, სად ცოლის შერთვა? რა შუაშია აქ ან ერთი, ან მეორე?!

— მარტო მაგისთვის დამიწუნა საპატარძლომაც და სიმამრმაც, თორემ მე ახლანდელ მათ საქმროზე უკეთესი ვარ ყოველ მხრივ!—აქებდა თავის თავს დაღვრემილი ახალგაზრდა.

მე ველარ მოვითმინე და შევეკითხე:

— რაშია საქმე? ეგებ დახმარება შემიძლია!

— რა დახმარება, შენი ჭირიმე!—დაიწყო მოხუცმა: —ეს ბიჭი ჩემი შვილია, ცოლის მოსაყვანათ წავედით; საქმე თითქმის გათავებული იყო; ქალი უნდა წამოგვეყვანა. რაღაც მისდა საუბედუროდ წამოცდა საცოლესთან და სასიმამროსთან:

— არა, მე „ტარტაროზი“-ს მკითხველი არა ვარ და არცა მაქვს გამოწერილი!

— ხა-ხა-ხა-ხა!—გადიხარხარეს იმათმა,—მე რა კაცი


უკვე დაიწყო
1928 წლ
გაზ. „მუშა“
დამატება ყოველ-კვი
ჟურ. „ტარტა
ყველა შეგნებული მშრომელ
ლობდეს და ავრცელებდეს თ
და გამომხატველ გაზ. „მუშ
გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორას, რომე
ქუჩაზე № 6, აქვს თავისი განყოფილებე
დაბებში, სადაც მიიღება ხელისმოწერა დ
გამოსაქვეყ
გაზეთ „მუშა“-ს და ჟურ. „ტარტაროზი“
ლი შეიარაღებული ამდენი ხნის გამოცდი
ხიდან, აწვდის რედაქციას მასალებს ა
გაზეთი მუშა“ და ჟურ
თვიურათ ღირს ოთხი
ერთი მ
„ტარტაროზ“-ზე ცალკე ხ
იჩქარეთ გამოწერისა
გახსოვდეთ შემდეგი: ნუ გა
თებას ეხლა შეიძლება ე. ი. ეხლა

...ლისმოწერა
...ათვის
...-ზე და მის უფასო
...ეულ იუმორისტულ
...როზი“-ზე.
... უნდა იწერდეს. კითხუ-
...ისი ინტერესების დამცველ
...-ს და ჟურ. „ტარტაროზს“.
...ში მოთავსებულია ჯორჯიაშვილის
...საქართველოს ყველა ქალაქებში და
...ყოველგვარი განცხადება გაზეთში
...ალათ.
...მუშკორთა და გლეხკორთა ათასუ-
...ებით და დაკვირვებით ყოველ კუთ-
...ილობრივ ცხოვრების ჭირ-ვარამზე.
...ლი „ტ ა რ ტ ა რ ო ზ ი“
...ბ ა ზ ი (კერძოთათვის
...ეთი).
...ისმოწერა არ მიიღება.
...ვის.
...დებთ შემდგისათვის, რის გამე-
...შეუდექით გაზეთის გამოწერას.

ყოფილხარ, რომ „ტარტაროზს“ არ იწერ და არ კითხულობ? არა,—ამბობს სალოლო,—მე მასეთ კაცს არასოდეს არ გავყვები,—და კინწის კვრით გამოგვაგდეს გარეთ.

— მართალი უთქვამთ!—დავუმატე მ... ...ორ-ულათ განვაგრძე გზა.

შორიდან მაყრული მესმოდა.

მაშინვე გავიფიქრე:

— აუცილებლათ აქ სადმე უნდა იყოს.

## ქორწილი

დიდი სვლა არ დამჭირვებია.

გამოჩნდა საქმროს მაყრიონი.

ნეფე წინ მოდიოდა და მის ჯიბიდან მოსჩანდა „ტარტაროზი“.

საპატარძლოს მაყრიონი შემოეგება.

პატარძალმა უწინარეს ყოვლისა „ტარტაროზს“ მიაპყრო მაყვალა თვალები, (ასე მოიქცა სასიმამროც) და შემდეგ ეამბორა საქმროს.

— აი, შენისანა კაი ბიჭი მინდოდა მე... შემდეგ თვისათვის ხომ არ დაგვიწყებია, „ტარტაროზი“-ს გამოწერა!

— როგორ დამავიწყდებოდა!—მიუგო საქმრომ და ყველანი გაწყობილ სუფრას შემოუსხდენ.

აქ გამოირკვა, რომ ის „უბედური საქმრო“ ამ პატარძლის პირველი საქმრო ყოფილიყო. მაგრამ ამ ახალ საქმროს ეჯობებია მისთვის იმით, რომ ეს უკანასკნელი თურმე „ტარტაროზი“-ს მუდმივი ხელისმომწერი და მკითხველია.

ჭეშმარიტად: „ტარტაროზი“ ყველასათვის დიდი კოზირი და პლიუსია.

თუმცალა აქ—ქორწილში აშკარა იყო „ტარტაროზი“-ს სარგებლობა პატარძლისა და საქმროსათვის, მაგრამ მე მაინც შევეკითხე მასპინძელს:

— ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ: რა სარგებლობა აქვს თქვენთვის „ტარტაროზს“?.

— ჩვენთვის „ტარტაროზს“ დიდი სარგებლობა აქვს, მაგრამ თქვენთვისაც რომ არ იყოს იგი ამ შემთხვევაში უსარგებლო. გთხოვთ დაბრძანდეთ სუფრაზე და მონაწილეობა მიიღოთ ქორწილში! თავაზიანი ხუმრობით მითხრა მასპინძელმა და საპატიო ალაგას მიმიჩინა დასაჯდომი.

გიყვარდეს შემწვარ-მოხრაკულები და ხაჭაპურები, მშვენიერი წითელი ღვინო.

როცა კამპანია შეხურდა, თამამი სიტყვებიც შემოვიდა ხმარებაში და დაიწყეს ერთმანეთის

## დაცინვა

— თუ არ შეგიძლია დალევა, შეგიძლია მიბიძაიდე —უთხრა ერთმა მეორეს.

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ... შენი კაცობა კარგად ვიცი!—შემოუტია მოწინააღმდეგემ.

— აბა თქვი რა არის ჩემი ცუდი კაცობა?—ცხარობდა პირველი.—სთქვი და დამიმტკიცე, თორემ თუ არ დამიმტკიცე ამ საზოგადოებაში, შენ აქედან ცოცხალი ვერ წახვალ.

— რადგან მაინცადამაინც გინდა გითხრა, ჰა, შენი „კაი კაცობა“: აგერ მეხუთე წელიწადია, რაც „ტარტაროზი“ გამოდის და შენ ძალიან იშვიათად იწერ და კითხულობ მას. აი, ასეთი კაცი ხარ შენ! აქ კი გამოდიხარ და ბაქი-ბუქობ; ის კი არ იცი, რომ შენი დაცინვა ყველას შეუძლია.

— მართალია, მართალი... შენ არაფერი კაცი არ ყოფილხარ... არა გრცხვენია!? არა გრცხვენია?!—შეუტიეს ყოველ მხრიდან.

დამარცხებულმა თავი დაჰხარა, სირცხვილის გრძნობამ ჭარხალსავით გააწითლა იგი და ყველას გასაგონათ ჩაილაპარაკა:

— თქვენ მართალს ამბობთ; ღირსი ვარ დაცინვისა. ჩამაფურთხეთ, თუ ამიერიდან მე ასეთი შეცდომა დავუშვა; „ტარტაროზი“-ს მუდმივი ხელისმომწერი ვიქნები.

ისელო.

**წინად** **ეხლა**



# დაბადება ბავშის

## ისტორიული მიმოხილვა

ბეთლემში დაიბადა თუ არა ქრისტე, ეს ჯერ არც ერთმა მეცნიერმა არ იცის. ქრისტეს დაბადების შესახებ ზოგზა ისტორიულ მასალას იძლევა მხოლოდ ზაქარია ჭიჭინაძის პირადი მოგონება: ქრისტე, რომ დაბადებულა, მაშინ მარიამ-ქალი მისულა ზაქარიასთან და რჩევა უთხოვნია—რა ვქნა, როგორ მოვიქცეო? ამით ამოიწურება მთელი ისტორიული მასალების სიუხვე.

მე პირადათ, მართალია კინაღამ მეცნიერი ვარ, მაგრამ არსებითად ჩემი თავი პოეტად მიმაჩნია. როგორც პოეტს კი ძალიან მდიდარი ინტუიცია მაქვს (გინდ დამიჯერეთ, გინდ ნუ!). ვინაიდან მოსვენებას არ მაძლევენ მოქალაქენი და შობების მოახლოების გამო მიგზავნიან მრავალნაირ შეკითხვებს (როდის გაისტუმრებ ჩვენ ვალსო), ამიტომ იძულებული ვარ პრესის ფურცლებზე ავიმაღლო ხმა:

ქრისტე დაიბადა ქვეყანაზე თანახმად 9 თვიანი საპერსპექტივო გეგმისა, ხარჯთაღრიცხვის შემუშავება-დამტკიცებამდე. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ პატარა ბავშვს აღმოუჩინეს დროებითი დახმარება ბაგაში. ახლანდელ დროში ხარჯთაღრიცხვების დამუშავების საქმე ძალიან კარგ დონეზე დგას, მაგრამ მაშინ იშვიათათ, რომ საპერსპექტივო გეგმები თავის დროზე შესრულებულიყო.

ჩემი აზრის დასამტკიცებლად ურყევ საბუთად ის კმარა, რომ ახლა საბავშო ბაღები სპეციალურათაა მოწყობილი და რამდენი ქრისტებიც არ უნდა დაიბადონ, ყველა მოთავსდება იქ. ქრისტეს მშობელმა მარიამმა პირნათლად შეასრულა საპერსპექტივო გეგმა და ამისათვის მისი სურათი შეტანილია ეკლესიების დაფებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ღვთისმშობლები ხშირად ვადამდე ასრულებენ საპერსპექტივო გეგმებს და მაინც ქალწულებათ რჩებიან. სახარებაში აშკარად სწერია, რომ მარიამ ღვთისმშობელს მეუღლე არ მოუშლია. ასეთი ქალები ახლა მგონი გადაშენებული არიან, თუმცა დანამდვილებით ამის შესახებ ჯერ არ მიმიღია ცნობები საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებიდან.

შობების დღესასწაულზე ჩემი კონკრეტიული აზრი ასეთია: ის ქრისტე, რომელსაც იესოს უწოდებდნენ იყო დებიუტი. აქედან იწყება სხვა ქრისტეების გამოსვლა ქალწულებისაგან. მათი დაბადების დღე და თარიღი არაა განსაზღვრული.

მე თავშიაც აღვნიშნე, რომ —თავი პოეტად მიმაჩნია, ამიტომ მე შევსთხზე საშობოთ სასიმღერო ალილოს ლექსი, რომელშიაც უაღრესად მაქვს დაცული რიტმი, რითმი, ასონანსი და სონანსი, სონანსი, ალიტერაცია, აპერტეფელია, ლირიზმი და ფშტვინიზმი.

გთხოვთ წაიკითხოთ:

ოცდა ხუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო;
ბაგაში რომ ჩააწვინეს,
მყისვე ჩვრებით შეკრესაო...
ა.ა.ა.ა: ალილოოო.:
იმის დედას—მარიამსა
გულს არ შემოეყრესაო;
ბიჭი ვინაც გაუჩინა
ალიმენტს გაექცესაო.
ა.ა.ა.ა. ალილოოო,
ქრისტე ბაგას ჩააწვინეს
ფიქრობდენ ვინ იშვილოსა;
დედა მისმა უბედურმა,
ეხლა ვისთან იჩივლოსო.
ალიიილოო.
ახ, დედასა, რათ არ იყო
მაშინ ზაქსი, ჟენატდელი,
მარიამის მოარშიყეს
ეცვლებოდა მყისვე ფერი,
აალილოოო.
ზაქსი ხელათ აღრიცხავდა:
იყავით თქვენ ცოლ-ქმარიო,
მიართმევდენ მუნ ანკეტებს
— შევსება მოასწარიო,
ალილოოო.
ქალიშვილებო, ბიჭებთან
დღეს გავლაც არის საფრთხილო,
ქმარის შოვნა ამჯობინეთ
ალიმენტების... ალლიი-ლოოო.

—ო.

ზოგიერთ ეკლესიებში ვითომც მომტირალე ხატებია, რომლებსაც ეკლესიის შიგნიდან წყალს ასხამენ თვა-ლებში

# კუჭის ცრემლები



— უყურე, უყურე როგორ სტირის ხატი ჩვენი ცოდვების შესანდობათ!
— ეს იმიტომ სტირის, რომ ამოდენა საკურთხს მღვდელი ჩაცეცხლავს და თვითონ კი მშრალზე დარჩე...



## ს ი ზ მ ა რ ი*)

დღიურ სიცხადით გულდაჩაგრულსა
ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი:
ვნახე ქუთაისს ჩამოსულიყო
შეშა, ნავთი და პური დამცხვარი.
შეშას თავს ადგა გრძელი „კუდები“
და ნავთის ბოჭკას ათასი სული;
ფურნესთან იყო აყალ-მაყალი
ნიშნათ იმისა, რომ ცხვებოდა პური.
ზეცათ აეპყრათ სამთავეს თვალი,
მოქალაქეთკენ იშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმა შეწყობილათ
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:

მოქალაქენო! თქვენი ხვედრია
ჩვენი წალება სახლში მთლიანათ.
შეუნდვე ცოდვა ჩვენსა მუშკოპსა
თუ მან ამდენხანს დაიგვიანა!
მოეც კურთხევა შენც, ალმასკომო,
და გაახილე თვალი მძინარი,
რომ ალადგინო მუშკოოპები
დღეს ცარიელი და ცოცხალ-მკვდარი.
მისი გავსებით, ჩვენი მოტანით
გაუმტკიცებდე ქუთაისლებსა,
რომ თქვენ მათ ჭირში მართლა შედიხართ,
ენასთან ერთად თან ჰქმნით საქმესა!

ბაღდადან.

---

*) აკაკის არ გეგონოთ! ქუთაისელ მოქალაქის სიზმა-რია.

# ტოლუმბაში

**მოხე:**—ყმაწვილებო, მოქალაქენო და აფხანაკებო, რომელიც რო ჩვენ დღეს აქანე, ასე თუ ისე შევკრეფილვართ და უეჭველში რო კიდემაც აქანა ვართ და ასე თუ ისე, ამფერად თუ იმფერად, უეჭველში ვსიამუვნობთ და კიდემაც ვდგავართ იმ ხაზზედ და იმ წერტილზე, რომელიც ხაზი და წერტილი არ იდრიკება.

დიახ, მე, აფხანაკებო, ხაზი, რომელიც თითოულს ჩვენთაგანს აქვს და უეჭველშიც ესიამუნება.

მერე, არ ვიკითხოთ ახლა: რატუა ეს ასე?

დიახ, უნდა ვიკითხოთ, ბატონო მოქალაქენო და აფხანაკებო და მეც უეჭველში მოგახსენებ!

რაშია საქმე, აფხანაკო და მოქალაქენო?!

საქმე იმაშია, რომე ჩვენ თუ ვეწვალებით რაიმე წერტილს, ეს იმიზა, რომე ამ წერტილიდან რამე სიამუნობას გამოველით.

ყოველი კაცი მოკვდებაო— ამბობს ჩვენი შოთა რუსთაველი— და ეს, მე მგონია, სწორიც უნდა იყოს.

მერე, სიდან ვიცოდი ეს მე?

იქიდან, რომე, კი მართალია მე კლასებში არ მისწავლია ქვეყანა კლასიაო, ასე გამიგონია, და მეც ეს ჩემი შესპენილობა კაი ხალხიდან შემიძენია.

უწინ აზნოუშვილობში, სტავლულებში ვყოფილვარ, თვალი გამიხელია და ამ რეჩს რო ვამბოფ ახლა, იქინე გამიგონია და მისტავლია.

**მაყრები:**—კმარა, კმარა, ამხანაკო, მოსე, გაათავე რეჩი; ჩვენ ღვინო და ქეიფი გვინდა; მღერიან:

**ტოლუმბაშო ჩანჩალაო,**
**ღვინო გვასვი ჩქარ-ჩქარაო..**

**მოსე:**—ყმაწვილებო, პეტრე, ათანასე, პლატონ, რაზე გინდათ, რომ მაჭამოთ სირცხვილი ამ ალეიაში? ბიჭო, თქვენ რო ამბობდი რეჩს, მე ხო გისმენდით? ახლა მე ვამბობ, ხო ხედავთ? მერე თქვენ არ უნდა მაცალოთ?

თქვენი ჭირიმეთ, პეტრე მადროვეთ, ვინაიდან რომე მეც მინდა ამ შეკრეფილებაში რამე წარმევიდგინო და ვთქვა. არც ის ივარგებს, რომე ყროუთ დავძლეთ ჭუკებივით და მერე გევიპაროთ სახში. ტერ-მოყვარემ უნდა გეიგოს, რომე დღეს აქანე ქორწილია.

**მაყრები:**—ხო, კაი, კაი, თქვი, მუათავე!

**მოხე (განაგრძობს):** ჰოდა, მე მოგახსენებდი, რომე ჩვენ დღეს ყველანი ვართ აქანე. რას ნიშნავს მერე ეს? რასაკვირველია, ეს იმას ნიშნავს, რომე ჩვენ ვართ ჩვენი ძმისას და აფხანაკისას, ესე იგი რომელიც რომჩვენი ძმაც არის და აფხანაკიც და რომელიც დღეს შემდგარია იმ ცხოვრების წერტილზე და ხაზზედ, რომელიც რო წერტილი და ხაზი თითოულს ჩვენგანს... აქვს... და უეჭველში რომ კიდემაც ესიამუნება

ჩვენი ძმა და აფხანაკი, ესე იგი ჩვენი მაინძელი იოსები, რომელიც რო დღეს ნეფეა და კიდემაც დგას იმ ხაზზედ და ედრიკება იმ წერტილს, რომელიც რო წერტილი ჩვენთვის ყველეიზა სასიამუნოა და სწორეთ იმიზა შევკრეფილვართ აქანე

**მაყრები:**—გაათავე, გაათავე, ამხანაკო!

**მოსე:**— ამომახთინეთ ახლა სული, პეტერე მადროვეთ და გავათავეფ. ჰოდა, ყმაწვილებო, მე შევსვამ ამ ჭიქით იმ პირის საინძელოს, რომელიც რო პირი დღეს ჩვენთან არის ერთად და უეჭველში დგას იმ ხაზზე, რომელიც რო ხაზი არ ედრიკება არავითარ წერტილს, რომელიც რო ცხოვრებაში არის.

თქვენ, ყმაწვილებო, და პატივისცემულო ბატონო კაპანია, არც ის იფიქროთ, რომე მე ჯერ თვრალი ვიყო. ღვინოში, აფხანაკებო, მე თქვენ ხამი არ გეგონო.

მარა მე სულ სხვა რამე მაწუხებს.

აფხანაკებო, მე ბევრს აღარ შეგაწუხებ და ჩემ რეჩს უეჭველში მოვჭრი.

ამხანაკებო, მე ვსვამ ჩვენი მეფედედოფლის საინძელოს და უსურვებ მაგენს, რომე რომელიც რო მაგენს საქმე გამოუწყია, ყოფილიყოს კაი საქმე, ესე იგი რომე, ძმაო იოსებ, მე ვსვამ პირადათ შენს საინძელოს, ისე რომე, რაც მე შენთვის მინდოდეს, იგი მისცეს ღმერთმა ჩემს ცოლშვილს და ნუ გენაღვლება, რომე მე, ძმაო იოსებ, შენთვის გლახა არ მინდა ღმერთმა კი იცოდეს ეგი (მოსე სვამს).

**მაყრები:** — ვაშა, ვაშა, ბრავო ნე და ჩემმა ღმერთმა. (ხანგრძლივი ტაში).

**ნომის.**

# ფოთი

შემაძრწუნებელ მდგომარეობაში ჩავარდნილნი ქ. ფოთის სახალხო ბიბლიოთეკა და მისი წიგნები ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ უგზოუკვლოთ დაგვეკარგა გამგე კაპიტონ ელიაშვილი. მნახველს ვსთხოვთ გამოგზავნოს, რისთვისაც საჩუქრად მიიღებს გამგის მიერ სამი თვის განმავლობაში აღებულ — უშრომო შრომის ხელფასს.

**გამგის მაძებარი კომისია.**

# ორპირი

გათენდა თუ არა ხუთშაბათი, გაუდექი ჩემს გზას და ზეკაკალ ორპირის თემაღმასკომში მოვადინე ლეწა. თვალი გადავავლე აღმასკომის მდივანს სერაპიონ ნიჟარაძეს, რომელსაც ისე შამოსეოდა გარშემო გლეხები, როგორც ბუს ჩიტები!

დინჯათ, ნელა და მაღალ ხმით სერაპიონი სხვადასხვა სტატიებს კითხულობდა. მეგონა რაღაც ლექციას კითხულობდა და ყური დავუგდე, უკანიდან ვიღაც გლეხმა ჩოხის კალთა დამქაჩა და მითხრა:

— დაიჩოქე, ხომ იცი სახარებას კითხულობსო!

ან დროს ორმა გლეხმა პირჯვარი გადაისახა. მივედი და შევეკითხე საქაის მწარმოებელ ქალს ვერიჩქას: — აქ ახალი ეკლესია ხომ არ მოგიწყვიათ?

— დასწყევლოს ღმერთმა —მითხრა ვერიჩქამ — ასე იცის ბიჩა, ვინც ნოვა გადაუშლის ორ არშინ-ნახევრიან გრძელ სტატიებს და დაუწყებს კითხვას! და გლეხებს სახარება ჰგონიათ და მიტომ იწერენ პირჯვარს. მე კი აგერ ამდენი საწერი მაქვს, მაგრამ თავი ველარ გავართვი, — მაგის სტატიების კითხვამ ტვინი დამიხშია.

აღმასკომის თავმჯდომარეს ბუხაძეს ვკითხე:— კაცო, ამ შენ მდივანს რათ არ აუკრძალე ხმამაღალ კითხვა სტატიებისა?

— ენის აპერაციას თუ უზამს ექიმები და მითი მოაშლევიებენ, არ ვიცი, თორემ ისე მე მაგას ვერაფერით ვერ მოუხერხე!

ავდექი და გამოვედი გარეთ. ზეკარებთან ჩემი ძველი მეგობარი კონსტანტინე მორჩაძე შემომეყარა. გამეხარდა, სალამის მიცემის შემდეგ, ვკითხე—თუ როგორ შეეწყო ამ ახალ დროს!

— იმე, იმე! ბატონო — დაიწყო მან—ნუ მეკითხები ნურაფერს, შენ საიდუმლოთ ყველაფერს გეტყვი, მხოლოდ ამ ლაწირაკებთან — მიათითა კომკავშირლებზე — ვერაფერის თქმას ვერ ვბედავ. ცხრა წელიწადს ვიყავი მამასახლისათ, ქვეყანა ჩემი იყო, აი შემომხედე — დაიდვა ხელი მუცელზე და ვერცხლით გაჭედილ წელს ქამარი შეარყია — ასე ვიყავი? გამიხმა, გამიხმა, შიმშილით მუცელში წელები, მრცხვენია დაფერთხილი მუცელი!

ეს ხვთისგან შეჩვენებულ კომუნისტების წასვლას რომ არ მოველოდე, აქნამდე ცხრაჯერ დავიხრჩობდი თავს.

— იყოს კაცო; კომუნისტები რას გიშავებენ?

— აპაპაპა! ამგენმა რომ ის გაიგოს —მე ჩემი მიკიტანი ძმის თედორეს ადგილები მითვისებული მაქვს, ქა არ დავიღუპე?

**ხუთშაბათელა.**

# ჯოჯოხეთის კუთხე



## „მომგებიანი საქმე“,

კარდანახიდან ვაზი შემდეგს გვატყობინებს:

კარდანახის საკრედიტო ამხანაგობამ რაც ფული ჰქონდა ღვინოში დაჭბანდა და გლეხებს ველარ აძ. ლევს სესხს.




გამგეობის თავმჯდომარე:—წელს ღვინოში უნდა მოვიგო ათას-ხუთას-ექვსას-შვიდას - ოთხმოცდა-ოცდა-სამი მანეთი და ოთხას-ას-სამოცდა-სამასი კაპეიკი; ასე მაქვს გამოანგარიშებული...

აი, ასეთ კაცს რატომ არ მართებს ტკბილათ იღიღინოს:

გლეხთათვის სესხის მიცემას
სჯობს ყიდვა კარდანახისა...
(საკრედიტო ამხანაგობის
საქმეა ეს სხვა სახისა),
როცა საყვედურს მეტყვიან,—
ასე ვიმართლებ თავსაო:
— თუ, ძმებო, ასე არ ვქენით
ვერ მოვიკიდებთ ხვავსაო.
ჩვენი პასუხი:
უფრთხილდი ჩემო ძმობილო,
თორემ დასტოვებ ტყავსაო.

## ახალი მილწევა

დალოცვილია ეს ცხოვრება თავისი მო... ...ბით და მოვლენებით.

მაგ.: მე-11-ე და მე-12 უბნებში არის ამბულატორია, რომელიც ვერ წვდება ავადმყოფებს მათი სიმრავლის გამო.

ამ შემთხვევაში ასე იქცევიან:—აცხადებენ



— მოქალაქენო, დღეს შეწყდა ავადმყოფთა მიღება და ხვალ მობრძანდით!

ავადმყოფები იძულებული არიან თავის ავადმყოფობა გადასდონ ხვალისთვის....

ორ-სამჯერ ასეთი გადადებით, ავადმყოფი თავს ანებებს ამბულატორიაში სიარულს და ლოგინში მოსვენება ურჩევნია. ზოგი მათგანი ამბულატორიაზე გამწყრალი საიქიოშიაც მიდიან, რათა თავიდან აიცილონ მომავალში ამბულატორიაში მკურნალობა.

## „მოწამეთი“

მართლაც რომ დროება „გაირყვნა“, თორემ რა უნდა „ჯოჯოხეთის კუთხე“-ში მოწამეთის მონასტრის ბერს —სოფრომს!?..

არა, ბერი არ არის იგი. ბერი რომ იყოს, მაშინ (როგორც თვითონ ამბობს—კანონი გვიკრძალავსო), მას შარვალი არ ეცმებოდა. საწირე, ახალ-სოფელი და სამტრედია მისი სანავარდოა.

აი, როგორი ხერხი გამოუგონებია სოფრომს, რომ სოფლელებს მისთვის პატივი ეცათ:

მღვდელმა ეკლესიაში იქადაგა:—ქუთაისში ჟავი და მთავრობის უფროსისაგან ავიღე ნებართვა, რომ მთავარ ანგელოზის დღეს ყველას შეუძლია (და მოვალეც არის)—შესაწირავი მოიტანოს ეკლესიაში.

ასე გვატყობინებს შეშინებული.

აქ შესაშინებელი არაფერია, მაგრამ, როცა შემწვარი ცხვრის (საკურთხი) ქამას შეუდგა მღვდელი თავისი ამალით, მიცვალებული გადმოდგა ციდან და ასე გადმოსძახა ქელეხში მოქეიფეებს და თავის ქირისუფალს:



**მიცვალებული** (პირიდან ნერწყვიგადმოსდის):—ძე სიმშილმა კუჭი გამიხმო, და თუ კი მაგ ცხვარს გაიმეტებდით, რა გიჭირდათ სიცოცხლეში გექმიათ ჩემთვის, თქვე მუცელზე-გასახეთქებო?!..

შეზარხოშებული მღვდელი, თურმე ასე მღეროდა არიას „დაისი“-დან (ალბად გაგონილი ექნება):

დამისხი დამალევინე,
ეს ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წალმა ვიფიქრო
ქვეყნის უკულმა ტრიალი.

## ნოქრის ხასიათი

რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, როცა ყველაფერი ისედაც გასაგებია:

— ჯერ გავიგოთ როგორ ხასიათზეა ჩვენი ნოქარი; თუ კარგ ხასიათზეა,—მაშინ შევიდეთ,—თუ არა და — თავს უშველოთ, თორემ...

— ასეთი ნოქარი იმიტომ გვყავს, რომ ხალხი კოოპერატივს არ გაეკაროს, რადგან შიგ მაინც არაფერია! —ასე ამბობს გამგეობა

## „მისაბაძი მაგალითი“



— [illegible] „ტარტაროზი“-ს ფურცლებზე გამოსაქვეყნებელია ეს ამბავი? — იკითხავს მკითხველი. აქ მოსათავსებელ სურამის რკინისგზელთა სანატორიუმის ფეხისალაგი?! არც ისეთი მშვენიერია იგი, რომ ღირდეს მისი სანიმუშოთ მოთავსება!

საქმეც ეს არის!

აქ არავითარ გადაჭარბებას არა აქვს ადგილი!

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე კი არა, ეს „პატივცემული“ ფეხისალაგი არა ერთხელ ყოფილა დაბრძანებული სურამის საბჭოს სხდომაზე. იგი კატეგორიულათ მოითხოვდა:

— **შემაკეთეთ, თორემ არავის არ შემოუშვებ ჩემთანა!**

სურამის საბჭომ საჭიროთ სცნო მთხოვნელის დაკმაყოფილება, მაგრამ სანატორიუმის გამგე ექიმი ახლაც ფარზეა. რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილების სამმართველო აცხადებს, რომ—ეს ჩემი საქმე არ არისო...

ალბათ ინგლისის პარლამენტის დასტურია საჭირო.

## ლუკმა და ქარი

ანდაზაა:— **მეჩექმეს ფეხსაცმელი არ ეცვაო.**

სწორეთ ასეა აგურის ქარხნის № 1-ის ამბავი.

**ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა (ალბათ ვერ მიხვდა!) ამოკედლვა იმ კუთხისა, სადაც მუშები საუზმობენ. დასვენების დროს. ქარი ისე მძლავრათ უბერავს ამ სიცივეში, რომ პირიდან ლუკმებს იტაცებს და ამის მაყურებელი ადმინისტრაცია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა** (ნეტავი ამრთლაც ასე იქნებოდეს! ეგებ მაშინ დაადგეს საქმეს საშველი).



## ცოცხალი სურათი

ლაგოდეხში კბილის ექიმი არა გვყავს. მათ მაგიერობას ასრულებენ დალაქები, რომლებიც დაჟანგულ მარწუხებით ჰძრობენ კბილს ავადმყოფებს.



**ავადმყოფი** (დალაქს):— კაცო, მე კბილის ამოღება გთხოვე და არა ყბისა! ხად მიგაქვს? მომეცი ჩემი ყბა!

**დალაქი:** ეს გასამრჯელო კბილის ამოღებისათვის...



**კირილეისონს:** თქვენი „გაცილება და შეხვედრა“ გავაცილეთ უფსკერო გოდრისაკენ, სადაც იგი შეხვდა თავის კოლეგებს.

**ხუცკოს:** მიბაძვაა. არ დაიბეჭდება. (წერილი ცალ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი).

**ასკანელ პროკოფიას:** თქვენს „უმუშევარ დღიურს“ უკაცრავათ — „**უმუშევრის დღიურს**“ წინ მიუძღვის ციტატა:

> ჩემი სიცოცხლის კალენდარში
> ჯერ არ ყოფილა ბედნიერი დღე.

ალბად დღევანდელი დღე—25 დეკემბერი იქნება თქვენთვის ბედნიერი; ეს არა იმიტომ, რომ—დღეს შობაა, არამედ იმიტომ, რომ თქვენი „პირველი ცდა“ უფსკერო გოდორში წავიდა.

**„ამცვინის“:** რომელ ენაზეა დაწერილი თქვენი წერილი?

**შეჩვენებულს:** წერილის ბოლოში სწერთ:— თუ შესაძლებელია—**შეასწორეთ!** არ არის შესაძლებელი ასეთი წერილის შესწორება.

**დ. ჭიდიას (სამტრედია):** ვასრულებთ თქვენს თხოვნას და თქვენს ლექსს ვბეჭდავთ შეუსწორებლათ:

**სამტრედიასა, ტარტაროზ,**
**შენც იცი ახლავს რიონი.**
**რკინის გზის ხაზი და სახლები**
**მას სვამდენ, მასა ხმარობენ....**
**მაგრამ მადლობის მაგიერ**
**წყევლიდენ, მას აგინებდენ:**
**„ქუთაისიდან ჩამოდის**
**ბინძურია და მყრალიო.**

რაკი ასეთი უმადურობას იჩენდით რიონის მიმართ, ამიტომ ახია თქვენზე თუ:

**ამ ამბავს თურმე რიონმა**
**მოკრა ყურიო.**
**გაბუტდა, გული მოუვიდა,**
**განზე გადიდვა თავიო.**

ეს თქვა და გალმა ნაპირსა
აძგერა თვისი ტალღები...
უწყლოთ დარჩა სამტრედია,
რიონმა ჰქნა ეკონომია....

გაუფრთხილდით ნიჟს. ასე უმნიშვნელო ამბავზე არ უნდა დახარჯოთ იგი.

**ფოთელს:** ასეთი მასალები შესაძლებელია გაზეთისათვის გამოდგეს; ჩვენთვის კი არ გამოდგება.

**მეტეორს** (მარანი): პიროვნებათა ინტიმიური ცხოვრება ჩვენ არ გვაინტერესებს. სწერეთ საერთო მნიშვნელობის საკითხებზე.

**კიკი**—კას: დაუჯერეთ დედათქვენს და შედით სამსახურში.

**ჯეკს** (ჭიათურა): თქვენც რომ ილბლიან კაცის — დათიკოს სახელი მოგეწერათ თქვენს წერილზე, ალბად იგი დაიბეჭდებოდა.

**უჟმურს:** ამაზე უარესი უჟმური რაღა უნდა შეგვეყაროს! სწორეთ, რომ „ცხრაწლედის ბრალია" თქვენი წერილის ასეთი უვარგისობა.

**ახლობელს:** თქვენი წერილი ცალგვერდზედაც რომ იყოს დაწერილი, მაინც არ დაიბეჭდებოდა, რადგან სამგლოვიარო წერილებს ჩვენ არ ვათავსებთ.

**მოგიკანელს (ზესტაფონი):** რას ერჩით თეატრის ადმინისტრაციას, რომელმაც 11 დეკემბერს დაიცვა ქრისტ[e]-დებულება: **„წინანი უკან და უკანანი წინ"**,—ე. ი. ვისაც 30 კაპ. ბილეთი ჰქონდა ისინი წინ იჯდენ, ხოლო ვისაც პირველ რიგების ადგილი ჰქონდათ,—ისინი უკან.

თუ კინო-სურათი მიდიოდა, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ხოლო, თუ წარმოდგენა იყო, მაშინ.... მაგრამ ამდენ ხარჯთან რომ ეს მარკებიც დაგიხარჯავს,—ის არ გერჩივნა გაჩერებულიყავ შესთვის?!.

**მაცისტს:** გამფლანგველ მოლარეზე სწერთ:
წერილს ვსწერ და ვუგზავნი.
**რომ გამიღონ კარები.**
**ვფიცავ ღმერთს, რომ**
**იმ სალაროს აღარ გავეკარები.**
**ჩაიხედეს სალაროში**
**შიგ არ იყო ფულია...**
**იცოდეთ, რომ ეს ლექსი**
**ჩემი შეთხზულია.**

ამას რა გაფრთხილება უნდა- აბა სხვა ვინ დასწერდა?!

**ტ. გუბელს:** შენი თავისათვის გესურვებია რამე კარგი, თორემ სხვისი რა დარდი გაქვს. ხომ გაგიგონია: — ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო?!.

**ქუთაისელს:** არ გამოგვადგება. ტყვილა გგონიათ — შარადის აგება ადვილია. ასე რომ იყოს, დღეს უფსკერო გოდორში არ გადავეგზავნიდით ათიოდე შარადას.

**გამოვიმლის:** დასწერეთ უფრო მოკლეთ და გაზეთს გაუგზავნეთ.

**ეკალს:** ხელმოუწერელ და ქაღალდის ორივე გვერდზე დაწერილ წერილს რედაქცია არ იხილავს.

**„ლევარსი როხროხაძისმიმდევარს":** თქვენ ამტკიცებთ, რომ **მოსახლეობასთან ერთად პროპორციონალურათ მიწის ტერიტორიაც იზრდებაო... ამგვარათ: არ არის** მოსალოდნელი **მიწის კრიზისი ხალხის გამრავლებასთან** დაკავშირებითო.

თუ კი ეს ასეა—მიწის ტერიტორია იზრდება და ფართოვდება, საკვირველია: თქვენი აზროვნება და გონება რატომ თანდათან პატარავდება და ვიწროვდება?

**ახალ გამომგონს:** ტყუილა გგონიათ, თითქოს ეს ახალი გამოგონება იყოს:

**დიასახლისების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ გამოგონებულია თაგვების გაწყვეტა-განადგურების ახალი საშუალება, რომელიც შემოწმებულია ჩემს პრაქტიკულ ცხოვრებაში. თაგვების მოსასპობათ არ არის საჭირო კატების ყოლა და მით ზედმეტი ხარჯების გაწევა. არც ხაფანგი და თაგვის შაქარია საჭირო,—არამედ თქვენ არ უნდა იქონიოთ ბინაში არავითარი საჭმელი, რომელსაც თაგვი ასე ეტანება.**

**დიახ! ეს დამტკიცებულია. მაგალითად: სტუდენტების ოთახში თქვენ ვერასდროს ვერ ნახავთ თაგვს, რადგან ეს უკანასკნელი იმათ ბინაში ვერავითარ სურსათ-სანოვაგეს ვერ ნახულობს.**

**ჩემს ოთახში პატარა წრუწუნაც კი არ ჭაჭანობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ როცა ხოფლიდან ჭადის ფქვილს ვღებულობ; (მაშინ კი საიდღანაც გაჩნდებიან).**

უსაქმო კაცის და მახათის ამბავი სწორეთ თქვენზეა **გამოჭრილი.**

**„ხოშს"** (კოჯორი): ეყოფათ ბავშთა ახალშენის ფიზკულტურის ინსტრუქტორებს, რომლებიც ერთმანეთს წაეჩხუბენ სიმართლის გამო და ცხვირ-პირი დაუმტვრიეს ერთმანეთს?! სასჯელათ ესეც ეყოფათ ჯერ-ჯერობით.

**[...] პოეტს:** კარგია თქვენი ლექსი:
[...] უფულო ვარ, როგორც ღარიბი,
[...]რამ მაინც ვარ ნდიდარი ჭკუით,
ჩემს ლექსებს აქვს დიდი ტარიფი,
[...]ებსავით არ ვსწერ ლექს ვაი-ვუით.
[...]ცა დაღამდა, კიდეც დაბნელდა;
[...]ემს ოთახშიაც დაბნელდა მაშინ...

ოთახში დაბნელება არაფერია—ზაჰესი მოგეშველება, მაგრამ თავში თუ ბნელა, იმას კი ზაჰესი ვერ უშველის.

**„უბედურ ქმარს":** ბევრია თქვენებრ „ბედნიერნი" და ამით ინუგეშეთ თავი.

**გაბრაზებულმა ცოლმა თუ ლამფის შუშით გაგიტეხათ თავი და შუშა კი გადარჩა,**—ეს თქვენი თავის უსუსურობას დააბრალეთ, რადგან მან ვერ გაუძლო ლამპის შუშას, რომელიც უვნებლათ გადარჩა.

**„ცოლიან ხალასტოის":** თქვენ ამბობთ:
ჩემი ცოლი გასათხოვათ მინდოდა,
ის კი დადის სადღაც ვილაცებში...
ერთხელ ღამით დავინახე—ვიდოდა
სულ უცნობსა ახალგაზრდა კაცებში.

ალბათ თქვენი განზრახვა გაიგო და ხელს გიწყობს—საქმროს დაეძებს ახალგაზრდებში. ეს თქვენ არ უნდა გწყინდეს!

ფილოსოფოსს:—თქვენი დებულება, რომ:— **„მოსახლეობასთან ერთად პროპორციულათ მიწის ტერიტორიაც იზრდება. ასე, რომ ყველას შეუძლია მიწის სივიწროვე არასოდეს არ იქნება. რა-კი მიწაც იზრდება მაშასადამე, საქმე ქუდშია"**,—გადაეცით ლევარსის, რომელმაც თქვენს ბოლო სიტყვებზე („საქმე ქუდში") ასე სთქვა:

— **საქმე რომ ქუდში იყოს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენს ქუდში თავი იყოს!**—და, მართალი გითხრათ, ჩვენც ვეთანხმებით ლევარსის.

**მორცხვს:**— აქ საფიქრებელი არაფერია:
**ზემელთან უცდი ტრამვაის,**
**[...]ე კი გიცქერი განზედა;**
[...]მოგიქროლებს რონოდა,
[...]გიყვანს ერვანზედა...
[...]ენ სიბრალული არა გაქვს
[...]ურაკი და იდიოტი....
[...]ენ სიბრალული გაქვს
ბეწვის ოდენა, იოტი....

და თავის თავს ეკითხებით თუ რა უნდა ჰქნათ!

აი, რა უნდა ჰქნათ: თუ შაური გაქვთ ჯიბეში, გაჰყევით იერე ვაგონს და თავისუფლების მოედანზე ისევ შეხვდებით თქვენს „დულცინეას".

# ღირსეული პასუხი




ამხ. ს. ორჯონიკიძე (ოპოზიციას):—ვერა ხე-დავთ კარებზე წარწერას?! აი, ის არის ჩვენი პასუხი.

პოლიგრაფტრესტის მე-ნ-ე სტამბა, კამოს ქ. № 68